ევროკავშირი
საქართველოსთვის

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა, ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა" - ილია ჭავჭავაძე

სამეცნიერო კომუნიკაციის სახელმძღვანელო მითითებები

მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

შინაარსი

1. შესავალი 3
2. პასუხისმგებლობა 3
3. სახელმძღვანელო პრინციპები 3
3.1. ინსტიტუციური კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი 4
3.2. საზოგადოებასთან სამეცნიერო კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი 4
3.3. მედიასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი 5
3.4. სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივობების მართვის თვალსაზრისით, ფონდი 5
3.5. სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივოებების დაგეგმვის თვალსაზრისით, ფონდი 6
3.6. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ფონდი 6
4. ზემოაღნიშნული დებულებების შეუსრულებლობა 6
5. კონტაქტები 6

ეს სამეცნიერო კომუნიკაციის სახელმძღვანელო მითითებები შემუშავებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ინტერსექტორალური თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის" ფარგლებში. სახელმძღვანელო მითითებების დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ფარგლებში დაწყებული დიალოგის შედეგად.

ეს სახელმძღვანელო მითითებები შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

1. შესავალი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში- ფონდი) არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაარსებულია „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფონდი ახორციელებს საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ერთობლივ პროექტებში.

ფონდის მისიისა და საქმიანობის მიხედვით, მან უნდა უზრუნველყოს ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურის (ანუ თავად ფონდთან მიმართებაში) და სამეცნიერო კომუნიკაციის მაღალი ხარისხი. ამის გათვალისწინებით, ფონდი ქმნის შემდეგ სახელმძღვანელო მითითებებს სამეცნიერო კომუნიკაციის მიმართულებით. ფონდის ყველა თანამშრომელი, ისევე როგორც ნებისმიერი, ვინც მუშაობს ფონდის მანდატით, უნდა შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებს, რომელიც არეგულირებს სამეცნიერო კომუნიკაციის პროცესს და ხარისხს.

მკვლევარები, რომელთაც ფონდი უწევს მხარდაჭერას, ვალდებულნი არიან დაიცვან შესაბამისი გრანტის დაფინანსების წესები, რომელიც განსაზღვრავს კვლევის შედეგების ანალიზს, გამოყენებას, გამოქვეყნებას და ხელმისაწვდომობას.

2. პასუხისმგებლობა

ფონდის სტრუქტურის მიხედვით, პასუხისმგებლობა სამეცნიერო კომუნიკაციებზე ეკისრება მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე დაინტერესებულ მხარეებთან და ფონდის საქმიანობის სათანადოდ წარდგენაზე. სამსახური მუშაობს გენერალური დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის N36 ბრძანებით) აღარ ფუნქციონირებს როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეული და მის ფუნქციებს ახორციელებს სამეცნიერო კომუნიკაციის სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2 თანამშრომელი, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარება ფონდის გენერალურ დირექტორს.

ფონდი ადგენს სამოქმედო გეგმებს მიზნების, შინაარსის, მოცულობის, თანმიმდევრობისა და ვადების მითითებით. ფონდის ოფიციალური წარმომადგენლები არიან: გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის ორი მოადგილე. გენერალური დირექტორის განკარგულებით ხდება ახალი იდეების შემუშავება და მეცნიერების კომუნიკაციის აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განსაზღვრა. გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე სამეცნიერო კომუნიკაციის მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე.

3. სახელმძღვანელო პრინციპები

ფონდი იცავს სამეცნიერო კომუნიკაციის იურიდიულ და ეთიკურ პრინციპებს, ამიტომ ფონდი:

- შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს (მუხლი 18);
- მოქმედებს კოორდინირებულად და შიდა აუდიტორიას აწვდის ინფორმაციას ინტეგრირებული კომუნიკაციის ფარგლებში. გარე პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ინსტიტუციურ ან სამეცნიერო ინფორმაციასთან, ურთიერთობენ თანამშრომლობის პროცედურის მიხედვით;

- პატივს სცემს მეცნიერებაში არსებულ ეთიკის საერთაშორისო წესებს, მათ შორის პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ხუთ ფუნდამენტურ ღირებულებას.

3.1. ინსტიტუციური კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი

- მოქმედებს უწყვეტობის, გამჭვირვალობის, ჭეშმარიტების, სიზუსტის, ობიექტურობის, თანმიმდევრულობის, ორმხრივობისა და კანონიერების პრინციპების შესაბამისად;
- მოქმედებს მიზანშეწონილობის საფუძველზე, შეთანხმებულად და ძირითადად საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გარეშე;
- პატივისცემით ეპყრობა საზოგადოების წევრებს და მეცნიერებს, თავს იკავებს მიკერძოებული პროპაგანდისგან, ინსინუაციებისგან, მანიპულაციებისგან, ინფორმაციის დამალვისგან, მოტყუებისა და დეზინფორმაციისგან;
- აწვდის ინფორმაციას ობიექტური არგუმენტების გამოყენებით;
- საზოგადოებასთან, მეცნიერებთან და მედიასთან სამეცნიერო კომუნიკაციის წარმოებისას, მოქმედებს პროფესიონალურად საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით;
- მხარს უჭერს კომუნიკაციას ინტერნეტში (ვებ, ფეისბუქი და ა.შ.) და აქვეყნებს შესაბამის ინსტიტუციონალურ და სამეცნიერო ინფორმაციას (დაფინანსებული პროექტების მონაცემთა ბაზა, ახალი საგრანტო კონკურსები და სხვა მიმდინარე საქმიანობა);
- ახორციელებს ფონდის ვებგვერდის მხარდაჭერას ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- აქვეყნებს სტატისტიკას კვლევის დაფინანსების შესახებ თავის წლიურ ანგარიშსა და ვებ-გვერდზე, მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ კანონების შესაბამისად.

ფონდის ლოგოს ან სახელის ნებისმიერი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ბრენდინგისა და კორპორატიული დიზაინის ზუსტ მითითებებს და წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.

3.2. საზოგადოებასთან სამეცნიერო კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი

- ხელს უწყობს სამეცნიერო მიღწევებისა და პრობლემების ფართო საჯარო განხილვას;
- ხელს უწყობს მეცნიერებსა და სამიზნე ჯგუფებს შორის ცოდნის გაცვლას და მხარს უჭერს კვლევის შედეგებზე ღია ხელმისაწვდომობას;
- გამოქვეყნებული ინფორმაცია ეფუძნება არგუმენტებს და აქტუალურ და საფუძვლიანად დადასტურებულ სამეცნიერო კვლევებს;
- მხარს უჭერს მკვლევარებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებში: სხვადასხვა მედიაში, პუბლიკაციებში, ვებგვერდებზე და ა.შ. შედეგების შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეცნიერებს, რომლებიც საკუთარი სახელით აწარმოებენ კომუნიკაციას საზოგადოებასთან;
- მხარს უჭერს და თანამშრომლობს პოპულარულ სამეცნიერო გამომცემლობებთან საზოგადოებისთვის სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციის მიზნით.
- მედია უნდა იყოს მოწვეული ყველა ღონისძიებაზე, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინფორმირებას;
- უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფებისთვის შესაფერის საკომუნიკაციო ინსტრუმენტებს და აკმაყოფილებს მაღალ პროფესიულ სტანდარტებს;
- მოქმედებს სამეცნიერო კვლევის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე;
- მოქმედებს მეცნიერთა ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ატარებენ კვლევას;
- პატივს სცემს ინტელექტუალურ საკუთრებასა და მონაცემთა დაცვის უფლებებს.

3.3. მედიასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, ფონდი

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი დებულებების გარდა, მედიასთან კომუნიკაცია უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ დებულებებს:

- ჩატარებული სამეცნიერო კვლევების აქტუალობა და მნიშვნელობა, მათი გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე და ფართო საზოგადოების პოტენციური ინტერესი ამ კვლევების მიმართ;
- ჟურნალისტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამჭვირვალობა და სწორი წარდგენა;
- მედიასთან კომუნიკაციამდე, ყველა ინფორმაციამ ზოგადად უნდა გაიაროს კოლეგების განხილვა და იყოს დოკუმენტურად ასახული ხელმისაწვდომი ჩანაწერებით (მაგ. მოკლე რეზიუმე, ანგარიში, სამეცნიერო პუბლიკაცია და ა.შ.);
- პრესრელიზების, პრესკონფერენციების, განცხადებებისა და პრესის სხვა მასალის შედგენისა და რედაქტირებისას უნდა იყოს დაცული მაღალი პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკა;
- აქტიური კომუნიკაციისთვის უნდა იყოს გამოყენებული ყველა მედიის მიმართ თანაბარი დამოკიდებულების პრინციპი;
- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სოციალური მედიის შემდეგი არხები: Facebook, LinkedIn, YouTube.

Facebook: https://www.facebook.com/SRNSFG
LinkedIn: https://ge.linkedin.com/company/shota-rustaveli-national-science-foundation-of-georgia-srnsfg
YouTube: https://www.youtube.com/channel/UCc04SkcZeSD5IEIkOGGUvNg

ფონდის მედიასთან ურთიერთობას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ან სხვა დანიშნული წარმომადგენლები.

3.4. სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივობების მართვის თვალსაზრისით, ფონდი

სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივობების მართვა ხორციელდება გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ნდობის პრინციპებით.

- სამეცნიერო კომუნიკაციისა და გამორჩეული კვლევის მიღწევების ხელშეწყობისთვის უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსების მართვასა და ადმინისტრირებას;
- ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს საგრანტო კონკურსებს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებს, კონკურსებს და სამეცნიერო კომუნიკაციისა და ინოვაციების/გამოგონებების განვითარებისთვის მიზნობრივ ღონისძიებებს;
- ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „წარმატებული სტუდენტების წახალისების პროგრამის“ ქვეპროგრამას „საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების შერჩევა საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის, სწავლება და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა “;
- აწარმოებს დიალოგს დაინტერესებულ მხარეებთან, ხელს უწყობს ფონდის გრანტის მიმღებთა აქტიურ ჩართვას საკომუნიკაციო საქმიანობაში;
- კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ მხარეებს სამეცნიერო საკომუნიკაციო ღონისძიებების ორგანიზებაში;
- ქმნის კონკრეტულ გეგმებს სამეცნიერო საკომუნიკაციო ქმედებებისთვის სამიზნე ჯგუფების მონაწილეობით;
- ფონდის მიზნებისა და მისიის შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების როლისა და მნიშვნელობის შესახებ;

- ახდენს მოახლოებული სამეცნიერო საკომუნიკაციო ღონისძიებების, ვებგვერდზე, ფლაერებზე, ბროშურებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის რეკლამირებას და ა.შ;
- აანალიზებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ და შიდა საკომუნიკაციო არხებით მიღებულ ინფორმაციას ფონდის შესახებ და განსაზღვრავს ტენდენციებს, საჭიროებებსა და გამოწვევებს.

3.5. სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივოებების დაგეგმვის თვალსაზრისით, ფონდი

სამეცნიერო კომუნიკაციის დაგეგმვა ხორციელდება უწყვეტობის, მოქნილობის, ეკონომიურობისა და ეფექტურობის პრინციპების მიხედვით:

- ახორციელებს სამეცნიერო საკომუნიკაციო საქმიანობის დაგეგმვას;
- მიზნობრივი სამეცნიერო საკომუნიკაციო საქმიანობის მხარდასაჭერად გეგმავს და გამოყოფს სამეცნიერო საკომუნიკაციო რესურსებს;
- გეგმავს სამეცნიერო კომუნიკაციას მეცნიერებისა და ბიზნესის მიმართულებით, ინვესტორების მოზიდვას სამეცნიერო პროექტების, ღონისძიებების, კონფერენციებისა და საგრანტო კონკურსების განსახორციელებლად;
- გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მომზადებას სამეცნიერო კომუნიკაციის საქმიანობის განხორციელების სფეროში;
- ფონდის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად გეგმავს და ახორციელებს ფონდის დაჯილდოების ცერემონიებს, კულტურულ და საზეიმო ღონისძიებებს, პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს და სხვა ღონისძიებებს;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით კოორდინაციას უწევს ფონდის ურთიერთობებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

3.6. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ფონდი

ფონდი ერთდროულად ითვალისწინებს "სოციალურ", "ეკოლოგიურ" და "ეკონომიკურ" მაჩვენებლებს, რათა მდგრადი განვითარების ზემოქმედება შეეხოს როგორც ფონდს და მის თანამშრომლებს, ასევე გარემოს, რომელზეც ჩვენ ვახდენთ გავლენას. ფონდი ითვალისწინებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს სამეცნიერო კომუნიკაციის საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს და ცდილობს გზა გაუხსნას მდგრადი მომავლისკენ.

4. ზემოაღნიშნული დებულებების შეუსრულებლობა

გრანტიორების, ან ფონდი თანამშრომლების ან/და წარმომადგენლების მიერ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფონდი ვალდებულია მიიღოს ყველა სათანადო ზომა საგრანტო კანონმდებლობის ან სხვა სამართლებრივი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

5. კონტაქტები

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი |მერაბ ალექსიძის II შესახვევი, N2, | 0193, თბილისი https://rustaveli.org.ge/geo

მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახური ხელმისაწვდომია, რათა მიაწოდოს ინფორმაცია ფონდის სამეცნიერო კომუნიკაციის პოლიტიკასა და საქმიანობის შესახებ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ხელმისაწვდომია, რათა მიაწოდოს მედიას ინფორმაცია ფონდის საკომუნიკაციო პოლიტიკისა და მისი საქმიანობის შესახებ.